

მეწარმეობის განვითარების ძირითადი ინსტიტუციური მიმართულებები ევროკავშირში

ბექა კობერიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ევროკავშირთან თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის და საქართველოს იმ ბიზნესების ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩოების დახვეწას, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებენ და ეყრდნობა ევროკავშირის სამრეწველო და მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით. როგორც შეთანხმების 277 მუხლშია აღნიშნული „საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება“.¹

ამ თვალსაზრისით აქტუალურია იმის ცოდნა, თუ როგორ ვითარდება ევროპული კანონმდებლობა მცირე მენარმეობის ხელშეწყობისა და ჰარმონიზაციის მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორებს, რომლებიც ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებისათვის არის აუცილებელი. მიზანია საწარმოების კორპორაციული სტრუქტურა შეესაბამებოდეს და ჰარმონიაში იყოს ეროვნულ კანონებთან და დარეგისტრირებული საწარმოს გადაცემა სხვა პირზე შეიძლებოდეს ბარიერების გარეშე, ხოლო მისი დაბეგვრა მოხდეს მიწმალური ოდენობით.

¹ „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ კარი. 5. მუხლი 277 (2).

ევროპის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება განმსაზღვრელი პირობაა ბიზნესის რეგულაციებში. მისი გაუმჯობესება კი წარმოდგენილია როგორც დინამიური პროცესი, რომელიც გულისხმობს არა მარტო კანონების ჰარმონიზებას, არამედ მათ ჯეროვან გამოყენებასა და შესრულებას წევრი ქვეყნების მიერ.

ჰარმონიზაცია კი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სახელმწიფო და კერძო შესყიდვებისთვის გამოცხდებულ ტენდერებსა და აუქციონებში მონაწილეობა მიიღონ სხვა ქვეყნის მენარმეებმაც და ჩამოყალიბდეს თავისუფალი კონკურენტული გარემო. აქედან გამომდინარე, ეროვნული და ევროკავშირის სამენარმეო კანონების მარეგულირებელი პოლიტიკა ორიენტირებულია ძირითადად ქვეყნების შიგნით მიმდინარე სამენარმეო საქმიანობების განხორციელების ნახალისებაზე და გამარტივებაზე.

ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით ევროკავშირმა შეიმუშავა, არის ევროპული კომპანიების დაარსება. 2000 წელს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ევროპული საწარმოების („ევროპული კომპანია“ - *Societas Europaea*; SE) სტატუსის ძირითადი პრინციპების რეგულაციის შესახებ.¹ ევროპის თანამშრომლობის საზოგადოების (SCE) დირექტივა ძალაში შევიდა 2004 წლის 8 ოქტომბრიდან და 2007 წლამდე ევროკავშირის ყველა ქვეყანამ განახორციელა ეროვნული კანონის ჰარმონიზაცია ამ დირექტივასთან შესაბამისობაში.

„ევროპული კომპანიის“ ფორმირების ძირითადი მიზანი იყო, საწარმოებისათვის მიეცათ შესაძლებლობა განეხორციელებინათ თავიანთი ბიზნესი სხვა ქვეყნებში ევროკავშირის იგივე სამენარმეო რეჟიმის ფარგლებში. შესაბამისად, მენარმეებს მიეცათ შესაძლებლობა ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში გადაიტანონ დარეგისტრირებული სათაო ოფისები. ამასთან აღინიშნა, რომ დარეგისტრირებული ერთეულის განთავსება ერთ ქვეყანაში, ხოლო ადმინისტრაციული ცენტრისა კი - სხვა ქვეყანაში, სრულად შეე-

1 **Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European company (SE).**<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:294:0001:0021:en:PDF>

საბამება დაფუძნების თავისუფლების ძირითად პრინციპებს. ძირითადი მარეგულირებელ საკითხებად განისაზღვრა მენარმეთა შესახებ ეროვნული კანონების გამარტივება და ჰარმონიზაცია, სანარმოთა შერწყმა/გამოყოფადა სანარმოთა რესტრუქტურისაციის შესაძლებლობა.¹

„ევროპული კომპანიის“ ფორმირებით ევროკავშირის მიზანია გაამარტივოს ბიზნესის კეთება ევროპაში და ხელი შეეწყოს სანარმოების ისეთი ცვლილებების განხორციელებას, რომელიც მარტივად დაუკავშირებს სხვადასხვა ქვეყნის მენარმეებს და გააერთიანებს მათ ბიზნესს. „ევროპული კომპანია“ სხვადასხვა ქვეყნის სანარმოს ერთ ჰოლდინგ კორპორაციად გაერთიანებას უზრუნველყოფს და მათ ქვეყნის სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმით გამონვეულ ბარიერებს აარიდებს.² შესაბამისად, იქმნება ევროპული სამართლებრივი ჩარჩოები, სადაც გათვალისწინებულია ასეთი სანარმოების ადგილი და როლი ბიზნესში.

„ევროპული კომპანიის“ დებულებით, მის ფორმირება შესაძლებელია შესაბამისი ოთხი მექანიზმით: შერწყმა, ჰოლდინგური კომპანიის ჩამოყალიბება, ერთობლივი და მისი შვილობილი სანარმოს ფორმირება და საჯარო სამართლი იურიდიული პირის გარდაქმნა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.³ სანარმოების შერწყმა „ევროპულ კომპანიად“ ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოების საჯარო სამართლის იურიდი-

1 Jan Cremers and Elwin Wolters . EU and national company law – fixation on attractiveness . Report 120. European trade Union Institute. Bruxelles, 2011. p.8-9. file:///C:/Users/misha/Downloads/R120%20EU%20and%20national%20company%20law%20WEB%20(1).pdf

2 Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European company. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:32001R2157>.

Council Directive 2001/86/EC of 8 October 2001 supplementing the Statute for a European company with regard to the involvement of employees. <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32001L0086>

3 Statute for a European Company. Europa.Summurries of EU legislation.http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/social_dialogue/l26016_en.htm

ული პირებისთვის, ხოლო ევროპულ ჰოლდინგურ კომპანიებად გარდაქმნა კი ხელმისაწვდომია როგორც საჯარო, ასევე კერძო კომპანიებისთვის.

„ევროპული კომპანიის,, მინიმალური საწესდებო კაპიტალია 120 ათასი ევრო და ეს საწარმო დარეგისტრირებული უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც მისი ადმინისტრაცია იქნება განთავსებული. ამასთან ადმინისტრაციული განყოფილება შესაძლებელია სხვა ქვეყანაში გადაადგილდეს ისე, რომ საწარმოს არ დასჭირდეს ამ ქვეყნის კანონმდებლობით თავიდან დაფუძნება. საჭირო იქნება მხოლოდ მისი რეგისტრაცია ადგილობრივი კანონმდებლობით.

ევროპული საწარმოს მართვა ხორციელდება აქციონერების კრებაზე ან მენეჯერების ან ზედამხედველების საბჭოს მეშვეობით იმ შემთხვევაში, თუ ორსაფეხურიანი მართვის სისტემაა, ხოლო ერთსაფეხურიანი მართვის პირობებში კი - საწარმოს მართავს ადმინისტრაცია. ორსაფეხურიანი მართვის პირობებში საზედამხედველო საბჭო იწვევს მენეჯერთა საბჭოს ისე, რომ ერთი ადამიანი არ შეიძლება ერთდროულად ორივე საბჭოს წევრი იყოს, თუმცა ვაკანტური ადგილის შემთხვევაში საზედამხედველო საბჭოს წევრი შეიძლება დროებით გახდეს მმართველი საბჭოს წევრიც.

ევროპული საწარმოს დაბეგვრა ხდება როგორც მრავალეროვნული კომპანიის და ექვემდებარება იმ ქვეყნის ადგილობრივ კანონმდებლობას, სადაც მისი ადმინისტრაციული ოფისია განთავსებული. თუ ოფისი ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მდებარეობს, მაშინ იგი ლიკვიდირებული უნდა იქნეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული საწარმო სხვადასხვა ფორმით იმართება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ევროკავშირის უმეტეს წევრ ქვეყნებში ევროპული საწარმოს სტატუტი მხოლოდ მცირედით განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ქვეყნებში არსებობს მისწრაფება შექმნან ერთიანი სამეწარმეო გარემო და საწარმოების ძირითადი სამართლებრივი მოდელები თითქმის ერთანაირია, ყველა ქვეყანას სამეწარმეო სფეროში აქვს განვითარების განსხვავებული

ტენდენციები. დისკუსიები სამეწარმეო კანონთან დაკავშირებით მიმდინარეობს მართვის საკითხებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. წარმოგიდგენთ რამოდენიმე ქვეყნის მაგალითს.

გერმანიის სამეწარმეო კანონში ხორციელდება რეფორმები, რომელიც მიმართულია კომპანიების საქმიანობის ბარიერების აღმოფხვრისაკენ. შესაბამისად, იგი არ ეხება სამეწარმეო კანონის გამარტივებას, როგორც ევროკავშირის, ასევე ევროვნულ დონეზე. რეფორმები მიზნად ისახავდა გერმანიის კორპორაციული სამართლის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და შესაბამისად ითვალისწინებს გარკვეულ გამარტივებებსაც ზოგიერთ საკითხში. ამ რეგულირებით, კომპანიებისთვის შესაძლებელი გახდა დარეგისტრირებულიყვნენ უცხო ქვეყნებში გერმანული GMBH (შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო) ან AG-ის (შეზღუდული სააქციო საზოგადოების) სამართლებრივი ფორმების შენარჩუნებით. ეს მიზნად ისახავს გერმანული საწარმოს სამართლებრივი ფორმების კონკურენტუნარიანობის გაზრდას და გაფართოებას. ამ რეფორმის იდეა არის ის, რომ გერმანული კომპანიები შეინარჩუნებენ გერმანული საწარმოს სამართლებრივ ფორმას უცხოური ფილიალებისთვის.

გერმანიაში ერთ-ერთი სადისკუსიო საგანი გახდა ევროპული საწარმო. დამსაქმებელთა კონფედერაციის განცხადებით, ევროპული კერძო კომპანია მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იმისთვის, რომ მცირე და საშუალო საწარმოები გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანი ევროკავშირის მასშტაბით. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო კონკრეტული ფორმის საწარმოებს ჰქონდეთ შანსი გამოიყენონ იგივე სამართლებრივი სისტემა თავიანთი უცხოური ფილიალებისთვისაც. დისკუსია ეხებოდა აგრეთვე კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებულთა წარმომადგენლებს, რათა არ დაკარგონ ხმების ერთი მესამედი, რომელიც მათ გერმანული კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული.¹ გერმანიის სავაჭრო პალატა

1 Germany: Country Overview. Worker-Participation.eu the gateway to information on worker participation issues in Europe. <http://www.worker-participation.eu/European-Company-SE/Countries-Transposition/Germany/COUNTRY-OVERVIEW>

ევროპული კერძო კომპანიების რეგისტრაციის ადგილისა და ადმინისტრაციული სათაო ოფისის განცალკევებაში ხედავს სირთულეებს, მოუწოდებს ევროკავშირს გაზარდოს კომპანიების მოქნილობა ამ საკითხში და უზრუნველყოს სამართლებრივად მისი გადაჭრა.¹ იგი ამასთანავე დამატებული ღირებულების გადახდის მომხრეა იმ ქვეყანაში, სადაც იგი არის დარეგისტრირებული.²

გარდა ამისა, გერმანიაში შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საწარმოს გამარტივებული ფორმა მცირე დამწყები ბიზნესისთვის – შეზღუდული პასუხისმგებლობის სამენარმეო კომპანია. მას არ აქვს მინიმალური საწესდებო კაპიტალზე მოთხოვნა.

საფრანგეთში მენარმეობაში იკვეთება ლიბერალიზაციის, ეთიკური წესების დაცვისა და ტექნიკური განვითარებისაკენ მისწრაფებები, რაც შესაბამისად აისახება მის საკანონმდებლო აქტებში. 2003 წლის ფინანსური უსაფრთხოების კანონი მიზნად ისახავდა კორპორაციულ მმართველობასა და სამართლიან კონკურენციას შორის მორალური ფორმებით დაკავშირებას. იგი მოიცავს კორპორაციული მმართველობის ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულებას.³ კანონმდებლობა ასევე მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობას და მიმართულია ბიზნესის მარეგულირებელი წესების გამარტივებისაკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს დაარსება მხოლოდ 1 ევროდ. საფრანგეთის 2008 წლის სამენარმეო კანონი მიზნად ისახავდა მის ევროკავშირის კანონთან ადაპტაცი-

1 For Europe: Encouraging Reforms. Strengthening Confidence. European Policy Positions of the Organisation of Chambers of Commerce and Industry 2014p.40-41. <http://www.dihk.de/en/europe>. file:///C:/Users/misha/Downloads/eupos-2014-engl.pdf

2 18 Proposals to Simplify EU Law. Association of German Chambers of Industry and Commerce e. V. (DIHK) . 2014. P. 13. <http://www.dihk.de/en/europe>. file:///C:/Users/misha/Downloads/18-proposals-eu-law.pdf

3 Vincent Trevisani. Recent Law on Financial Security Improves Corporate Governance in France. Find Law for legal Professionals. 2008. <http://corporate.findlaw.com/litigation-disputes/recent-law-on-financial-security-improves-corporate-governance-in.html>

ას. კანონი არეგულირებს ევროპული კომპანიების დაფუძნების და შერწყმის საკითხებს. კანონში ასევე დარეგულირებულია იურიდიული პირის სტატუსის მოპოვების ან შეცვლის პირობები.¹

მთლიანობაში საფრანგეთის მენარმეობის კანონმდებლობის ძირითადი მიზნებია ბიზნესის პირობების გამარტივება და საწარმოების ტრანსფორმაციისა და განვითარების ხელშეწყობა და ყველასთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა; ამასთან, ქვეყანამ აიღო ვალდებულება გაზარდოს ქალების მონაწილეობა კომპანიების მართვაში სამი წლის განმავლობაში 20 პროცენტით, ხოლო 5 წლის განმავლობაში - 40 პროცენტით.²

შვედეთში 2010 წლის აპრილიდან მინიმალური საწესდებო კაპიტალზე მოთხოვნა კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებისთვის არის 50 000 შვედური კრონი (2010 წლამდე იყო 100 000 შვედური კრონი).³ მისი შემცირების მიზანი იყო კერძო კომპანიების დაარსების ხელშეწყობა. სამენარმო კანონის გამარტივების შედეგად გაუქმდა აუდიტის მოთხოვნა მცირე საწარმოებისთვის. ეს ეხებათ მხოლოდ იმ საწარმოებს, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 3 მილიონ შვედურ კრონს.⁴ სავალდებულო ინფორმაციაზე მოთხოვნა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, რათა ხელი შეეწყოს კერძო კომპანიების დაარსებას. დაკისრებული ვალდებულების ონლაინ გზით შესრულება ხელშეწყობილია და გაუმჯობესდა.

1 Corporate Law.Local Legal Update France. Donahue&Partners LLP. http://www.donahuelaw.us/documents/Legal_update_France.pdf

2 The Guardian, “French plan to force gender equality on boardrooms”, 2 December 2009,

<http://www.guardian.co.uk/world/2009/dec/02/french-government-gender-equality-plan>, European Professional Women’s Network, “French National Assembly Votes For Women on Boards”, http://www.europeanpwn.net/index.php?article_id=868

3 Proposal: Lowered Minimum Share Capital in Swedish Private Limited Companies. Swedish Corporate Law. May, 21, 2008. <http://swedishcorporate.blogspot.com/>;

Sweden. P.7. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/business-environment/files/annexes_accounting_report_2011/sweden_en.pdf

4 Sweden. p.10-14. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/business-environment/files/annexes_accounting_report_2011/sweden_en.pdf

ევროკავშირის სანარმოების მარეგულირებელი სტრატეგია რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. პირველი ეს არის უკეთესი წესების შექმნა და გამოყენება ევროკავშირის მასშაბით, რომელიც ბიზნესის გამარტივებას გულისხმობს. მეორე ეს არის საერთო პრინციპების უფრო თანმიმდევრული გამოყენება. და ბოლოს, კონსტრუქციული დიალოგის გამართვა დაინტერესებულ პირებსა და მარეგულირებელ ორგანოებს შორის, როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო დონეზე.¹

ევროკავშირის კომისია ცდილობს გაამარტივოს კანონმდებლობა და გადაწყვიტა გამართოს მეტი კონსულტაცია დაინტერესებულ პირებთან. ბოლო წლებში კომისიის მიერ განხორციელებულ პროგრამებში ზოგიერთი ინიციატივა ეხებოდა სამენარმოეო კანონს. მაგალითად, საბუღალტრო დირექტივების გამარტივება, რათა ნევრ ქვეყნებს უფლება ჰქონოდათ გაეთავისუფლებინათ მიკრო ორგანიზაციები საბუღალტრო მოთხოვნებისგან და გათვალისწინებული ყოფილიყო მცირე ბიზნესის ინტერესები. ასევე გამარტივებულიყო ანგარიშგებასა და დოკუმენტაციებზე მოთხოვნები წარმოების შეერთებისა და გაყოფის შემთხვევებში და სხვ.²

ევროკავშირის მარეგულირებელი სტრატეგია ძირითადად მიმართულია სანარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ. სანარმოების კონკურენტული გარემოს ფორმირება მთლიანად სამართლებრივ ფორმებზეა დამოკიდებული. სანარმოს კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს სწორედ მისი სამართლებრივი ფორმის არჩევანი. სანესდებო კაპიტალზე მოთხოვნა ყველა ქვეყანაში განსახვავებულია და მერყეობს ნოლი ევროდან (ნიდერლანდები, შვეიცარია) და სიმბოლური ერთი ევროდან (პორტუგალია, ლატვია, ჩეხეთი) 10 000 ევროზე უფრო მეტი (საბერძნეთი, ბელგია, ავსტრია, დანია, ლუქსემბურგი).³

1 http://ec.europa.eu/governance/better_regulation/brochure_en.htm

2 4th and 7th Company Law Directives. See: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2009:0017:FIN:EN:PDF>

3 European Commission (2008) 'Proposal for a Council Regulation on the Statute for a European Private Company (SPE). Impact assessment', SEC(2008) 2098, Brussels p. 7, http://ec.europa.eu/internal_market/company/docs/epc/annex_impact_assesment_en.pdf.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების შემცირება ევროკავშირში არ ასრულებს საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ინსტრუმენტის როლს, რამდენადაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში გადასახადების რადიკალური შემცირების ტენდენციას არ გამოვლენილა.

ევროკავშირში ძირითადი აქცენტი მაინც აღებულია საწარმოს დაარსების ფორმებზე და განვითარებაზე და რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებაზე. ცვლილებების უმეტესობა მცირე და საშუალო საწარმოებს ეხება და მოიცავს არა მხოლოდ რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებას, არამედ სალიცენზო მოთხოვნების პროცედურების გამარტივებასაც, ასევე ზოგიერთი მარეგულირებელი ნორმის გაუქმებას და საზედამხედველო საბჭოს მარეგულირებელი ნორმების შემცირებას.

ეს ის საკვანძო საკითხებია, რომელიც ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების მიზნით ასახულია ევროპული კომისიის სამოქმედო გეგმებში. მისი მიზანია კომპანიებმა მიიღონ კონკურენტული უპირატესობა პროცედურული მოთხოვნების შემცირების, აკრედიტაციის, შემოწმებისა და რეგისტრაციის მარეგულირებელი ნორმების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შედეგად. გარდა ამისა, მცირე და საშუალო საწარმოებს ეძლევათ უპირატესობა შედარებით მცირე სარეგისტრაციო გადასახადით.

გადასახადების შემცირება შედარებით ზღვარდადებულია, რადგან როგორც გლობალურმა კრიზისებმა აჩვენეს, ყველა ქვეყნის ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ საჭირო დროს ეფექტურად გაუმკლავდეს ფინანსურ რისკებს და დაარეგულიროს ეკონომიკური მდგომარეობა. თუმცა დაბალი გადასახადებიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობისათვის. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გარემო მოითხოვს დაბალანსებას და ყველა ქვეყანა ამას თავისი მიზანშეწონილობიდან ხსნის.

ამასთან, მართალია დაშვებულია ადმინისტრაციული ოფისების განთავსება სხვა ქვეყნებში, მაგრამ საგადასახადო კონკურენცია ქვეყნებს შორის, რომელიც საშუალებას იძლევა სა-

წარმოს სათაო ოფისი გადატანილი იქნას დაბალი გადასახადის მქონე ქვეყანაში, საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნის ევროპაში იმ ქვეყნებს, რომელსაც აქვს შედარებით მაღალი გადასახადი. იგი არღვევს ევროპული სახელმწიფოების ბალანსს.

ამ გარემოებას ეწინააღმდეგება ევროპული ღირებულებები მენარმოების თავისუფლების შესახებ. ევროპული სასამართლო აწესებს შეზღუდვას დაარსების თავისუფლებასთან დაკავშირებით, როცა წევრი ქვეყანა (მასპინძელი ქვეყანა) უარს ამბობს კომპანიის ფორმირების ლეგალურ აღიარებაზე სხვა წევრი ქვეყნის კანონზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც იყო დარეგისტრირებული ეს კომპანია. ამ შემთხვევაში სანარმოს არ შეუძლია მასპინძელ ქვეყანაში სამართლებრივი პროცედურები აწარმოოს თავისი უფლებების დასაცავად, სანამ იგი სხვა ქვეყნის იურისდიქციაშია. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაარსების თავისუფლება მოითხოვს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაზე დაყრდნობით დაარსებული უცხოური კომპანიების აღიარებას მასპინძელი ქვეყნის მიერ. შესაბამისად, იმისთვის რომ ქვეყანამ მიიზიდოს სხვა ევროპული ქვეყნის კომპანიები, უნდა დააწესოს მაქსიმალური უპირატესობები.¹

ევროპული კომისია ეწინააღმდეგება უსარგებლო ევროპული სანარმოების დაფუძნებას, თუ ისინი არანაირ საქმიანობას არ ეწევიან, არც თანამშრომლები ჰყავთ და შეიქმნა მხოლოდ იმ მიზნით, რომ კომპანიების პროვაიდერებმა მიჰყიდონ იგი ამ სანარმოთი დაინტერესებულ მყიდველს. შესაბამისად, ასეთი სანარმო გახდა სხვა ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვის ინსტრუმენტი, იგი ხელს უწყობს კაპიტალის გადადენას და გამსხვილებას და ინტერნაციონალიზაციას, რის შედეგადაც წარმოიშვა იმის საფრ-

¹ სწორედ ამ მიზეზის გამო ავსტრიამ საწესდებო კაპიტალი შეამცირა 35 000 ევროდან 10000 ევრომდე, ნორვეგიამ 13 000 ევროდან 3750 ევრომდე, შვედეთმა 10681 ევროდან 6000 ევრომდე, შვედეთმა და ნიდერლანდებმა გააუქმეს შესაბამისად 38000 და 18 000 ევროს ოდენობით კაპიტალის მოთხოვნა. A. Bernecker (2010) A European Private Company. Is Europe's single legal form for SMEs close to approval?, Deutsch Bank Research, p.5.

http://www.dbresearch.de/PROD/DBR_INTERNET_EN-PROD/PROD000000000260277.PDF

თხეც, რომ განხორციელდეს „ბიზნესის მოზიდვა“ სხვა ქვეყნების ხარჯზე და ლიბერალიზაციის პროცესთან ერთად ვერ მოხერხდეს ეროვნული საწარმოების დაცვა. საკითხი, თუ ვის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს ბიზნეს კორპორაცია, ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი საკითხი ხდება. სწორედ ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული კავშირები ღიად ეწინააღმდეგებიან ეროვნული სამეწარმეო კანონის გამარტივებას, კაპიტალის, სამუშაო ძალის, მომსახურებისა და საქონლის თავისუფალ მოძრაობას და ევროპის წევრ ქვეყნებს შორის კონკურენციის ნახალისების ინიციატივას.¹

INSTITUTIONAL TRENDS OF ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT IN THE EUROPEAN UNION

Beka Koberidze

The St. Andrew the First-Called Georgian University

RESUME

The paper deals with the regulations of enterprises in the EU and proves that the EU regulatory strategy is mainly directed towards improving the competitiveness of enterprises. The company's competitiveness is determined by the choice of the legal form. The EU's entrepreneurship regulatory strategy characterizes with several components: establishing of European companies", simplification and implementation of the best business environment and expanding the EU rules. These issues include the dialogue between stakeholders and regulatory authorities at the national and international levels.

1 Richard Hyman, Trade Union and the Politics of the European Social Model. Economic and Industrial Democracy, 26 (1). pp. 12. http://eprints.lse.ac.uk/753/1/trade_unions.pdf Striking oil workers are fighting EU rules. Trade Unionists Against the EU Constitution (TUAECU). <http://www.tuaeuc.org/http://www.tuaeuc.org/manufacturing.html>